ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№68. 68241942**
თარიღი:**12/07/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განმხორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე -3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 03 ივლისის N16 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში მოსახლეობისაგან შემოსული საპროექტო წინადადებების კრიტერიუმებთან შესაბამისობის ცხრილი (დანართი N1);

2. მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ბიუჯეტად 2024 წლისათვის განისაზღვროს 210 000 (ორას ათი ათასი) ლარი;

3. მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხის მაქსიმალური ოდენობა 2024 წლისთვის 30000 (ოცდაათი ათასი) ლარით;

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში 2024 წლისთვის, შესაძლებელია, დაფინანსდეს მინიმუმ შვიდი საპროექტო წინადადება;

5. 2024 საბიუჯეტო წლისთვის, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ეტაპებისთვის განისაზღვროს შემდეგი ვადები, კერძოდ:

ა) მოსამზადებელი ეტაპი - 12 ივლისიდან - 17 ივლისამდე;

ბ) საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი -17 ივლისიდან - 29 ივლისამდე;

გ) საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა -29 ივლისიდან - 5 აგვისტომდე;

დ) კენჭისყრის ეტაპი - 5 აგვისტოდან - 19 აგვისტომდე;

ე) გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და პროექტის დამუშავება ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით - 19 აგვისტოდან - 31 აგვისტოს ჩათვლით.

3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განსახორციელებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერის პირველი მოადგილე - **ვარლამ ჭიპაშვილი -** ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) მერის მოადგილე - **დავით დევდარიანი -** ჯგუფის წევრი;
გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - **ვლადიმერ გელაშვილი -** ჯგუფის წევრი;
დ) საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი- **ნინო მაღლაკელიძე -** ჯგუფის წევრი;
ე) ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - **პეტრე შარიქაძე -** ჯგუფის წევრი;
ვ) განათლების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - **ირინე ჩხეიძე -** ჯგუფის წევრი;
ზ) ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - **მარინა კვინიკაძე -** ჯგუფის წევრი;
თ) ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ინგა ლურსმანაშვილი** - ჯგუფის წევრი;
ი)ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - **ინგა ბერაძე** - ჯგუფის წევრი;
კ)საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საფინანსო-სახაზინო განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - **ეკა დვალიშვილი** - ჯგუფის წევრი;
ლ) გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი - **იზა ვეფხვაძე** - ჯგუფის წევრი;

4. **პროგრამის კოორდინატორობა დაევალოს მერის მოადგილეს - დავით დევდარიანს**;

5. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამარჯვებული საპროექტო წინადადება გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის მიმდინარე ბიუჯეტში;

6. ბრძანების სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურის უფროსს;

7. ბრძანება ძალაშია ხემოწერისთანავე;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180-ე მუხლით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი